

პიტაღორის ძეგლი

სანი მეცხვის

თბილისი 2009

ქსნის ხეობის ზემონელი მაღალი მთებითაა გარშემორტყმული. ალპიურ მდელოში ჩანოლილ, ულამაზეს, ზურმუხტისფერ, კამკამა ყელის ტბას და მისგან გაჩენილ მდინარეს „ნეფისკალოს“ მთები უდევს სასთუმლად. 2921 მეტრის სიმაღლიდან ჩანჩქერებზე გადმოკიდებული ქსანი მთის ლამაზ, კოპნია სოფლებს გამოივლის და გზადაგზა ცრემლივით წმინდა წყაროებს იერთებს.

ქარჩოხის მთების ცივ, საუკეთესო წყაროებს შორის ერთ-ერთ პატარა, უგემრიელეს წყაროს „კეკნატოს“ ვეძახით. ავტორის სურვილია, წინამდებარე პოეტური კრებულიც იმ პატარა „კეკნატო“ წყაროსავით წმინდა და გემრიელი იყოს.

ხელახლონი: ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
**ამირან არაბული**

ტაქნიკური ხელახლონი  
და პოეტიკური: **ნანა ბახტაძე**

მხატვარი: ეროვნული სამხატვრო აკადემიის  
პროფესორი **ნიკო ხერკელაძე**

ISBN 978-9941-0-2048-3

© ვიტალი ქენქაძე, 2009

წიგნი ეძღვნება რუსეთ-საქართველოს ომში,  
2008 წლის 9 აგვისტოს გმირულად დაღუპულ  
ქსნისხეობელი ვაჟკაცის **ლევან ავთანდილის ძე**  
**მიდელაშვილის** სამარადისო ხსოვნას



ვაი მტერს! — ქარჩოხელებო  
აღარ გვყავს ბიჭი ლევანი,  
ვერ მოკლეს! — მხოლოდ მონყვიტეს  
ვაზიდან ერთი მტევანი.  
ვაჟკაცსა ჯავშანი სცმიყო,  
“ბეჭზე არწივი ეხატა,  
ისიც ცხრამეტი წლის იყო,  
ოცი არ გადაეხადა”.

„ტომები, ხალხები, სახელმწიფოები გაქრა,  
ნიგნი კი დარჩა“

ა. კონსტანტინოვი

## წ ი ნ ა თ ი მ ა

ვიტალი ქენქაძე ქსნისხეობელია. ფიქრით დღესაც იქ არის და სიზმრებსაც იქაურს ხედავს...

დიდი პრეტენზია პოეტობაზე არც ადრე ჰქონია და არც ახლა აქვს. „ემღერება“ და ფანდურს თავისთვის „აჩნაკუნებს“...

მის პოეზიაში კანთიელად ფეთქავს სიმართლის და სიალალის ძარღვი. გრძნობს სისხლზორცეულ სიახლოვეს გარემომცველ სამყაროსთან, ბუნების მაღლიან კალთასთან, ფლორასთან და ფაუნასთან... ალბათ ამიტომაცაა, რომ ლექსსა და ლექსს შუა მალი-მალ გამოერევა უშუალობის ნიშნით აღბეჭდილი, პირწმინდად საყმაწვილო პოეტური ტექსტები...

ქსნის ძველთაძველი ხეობაა მისი შთავონების წყარო და სუფთა სათავე. ურბანიზაციის პერმანენტული პროცესი თითქოს არც შეხებია... მკაცრი სინამდვილე მაინც თავისას ითხოვს და კარნახობს, ისტორიული წარსულის გათვალისწინებით სახვალყო, სამომავლო გზები ეძიოს...

სტკივა და აწვალებს მომხედურის ფეხით გადათელილი „მიწა საგანძე“, გადამთიელისთვის არ ემეტება მშობლიური ცა; დარწმუნებულია, რომ დადგება დრო და სამართლიანობა ისევ აღსდგება.

ლექსში, რომელიც ქარჩოხის მთებისადმი მიმართვას წარმოადგენს, ავტორი ამბობს:


„არ დაგავიწყდეთ, ბეჩავნო,  
სიპნი, ნამატის ქეიშები,  
თან ჩამატანეთ, მაღლია  
ნაკადულები ვიჟები.“

„ჯერ იქამდე ძალზე შორია. ჯვარიმც სწერია!..“

ბევრი სხვა თანამემამულის მსგავსად, ვიტალი ქენქაძეც მოუთმენლად ელოდება ლარგვისსა და კორინთაში, იკოთსა და ცხავატში, ბალანსა და თინიკაანში, ჟაბურის ხეობასა და

ლომისის ქედზე ჩამოწოლილი კუნაპეტი ღამის გათენებას,  
გამოდარებას და სხივეუვნებელი მზის ამობრძანებას.  
ღმერთმა კეთილად აუხდინოთ ეს მოლოდინი!

ამირან არაძგოი  
4.XI.2009



## შანშე ანის უჩისთაჲი

*მხატვარი ნიკო ხერკელაძე*

ჭიხვინით მიდის კავალკადა ერისთავების,  
ახი ახალგორს,—ლარგვისს ტირის მხნე ტირონია,  
**ვაი ყოფასა! რა დროს არ გვყავს ქსნელებო, შანშე,**  
თვალადს უთვალოც გვენატრება,—მკლავს ირონია.

\* \* \*

ავიღებ ფერებს, ქართულ მინას რაც აამზევებს,  
ჯერ ცას დავხატავ ფიროსმანულს, მერე ლამაზებს,  
მერე დავხატავ საქართველოს ერის მამამზეს,  
ერეკლე მეფეს, — ივერიის ცხელ გულსა და მზეს.

მერე დავხატავ მუქი-მწვანით, ათქვირებულ მთებს,  
კლდეზე დაკიდულ მდინარეებს, როგორც  
მთების თმებს  
და უბინოებს, ჩანოლილებს, მთებში ვით და-ძმებს,  
გადაჭდობილებს ტკბილად ვაზთან, როგორც  
ხმლები ხმლებს.

მერე დავხატავ საქართველოს ციხეებს, — ტაძრებს,  
და მათ კედლებთან დამინებულ მამა-პაპის ძვლებს,  
შლეგ შანშეს, შალვას, ელიზბარს და ერთგულ იესეს  
რომ მათებრ შვილნი საქართველოს კიდევ მიეცეს.

1985.



# ქსანი მეძახის

ქსანი მეძახის და მეც მივილტვი,  
როგორც ბუდისკენ უძლური ბარტყი,  
ციხე ტაძრებო რად ამატირეთ,  
ქარჩოხის ციხევ, რატომ გამარტყი.  
ქსანი მეძახის, მეც მივსრიალებ,  
როგორც კალმახი ჩანჩქერის თაღზე,  
მჟავე წყლის ჟანგით რატომ მომწამლე,  
ყელის ტბა რატომ დამასხი თავზე.  
რად გამახსენე ჭრილობა ძველი,  
ქსანზე ქარჩოხის ომი მქუხარე,  
თორმეტი ათას მაყარის მკვლელი  
ძუ ჯაჰანბანუ, სახით მწუხარე.  
რატომ მითხარი, რომ ხმლით აგჩეხეს,  
მტერი ათასი მარტოს შეგება,  
რატომ მითხარი, რომ სააკაძემ  
ჩემი გულისთვის წითლად შეგღება.  
მითხარი ლეკმა ლამისყანაში,  
როგორ მოგტაცა მგოსანი კოხტა  
და მათ ალყაში შენი კალმახი  
წირქელის ციხიდან როგორ გადმოხტა,  
ბევრი მითხარი არა სახიჩრად,  
ვიცი ლარგვისის ფოლიანტები,  
იქ არის მცხეთის განძი სახიზრად,

მურასა ჯვრების ბრილიანტები.  
ვიცი ცხრაშმიითი და კოლოტირა,  
როგორ გაიწვრთას ლეკვი ავაზის,  
მაგრამ არ ვიცი, ვინ აატირა  
ათასწლოვანი ფრესკა გავაზის.  
ქსანი მეძახის, რეკენ ზარები,  
დარდით კვნესის და ჯავრით ღრიალებს,  
ვინ წარიტაცა ოქროს კარები,  
სამების მთაზე აღარ პრიალებს.  
ვინ დაუშანთა წმინდანს, ტკბილხმოსანს,  
ჯერ ძუძუები მერე თვალები,  
ვინ გაიტაცა ჯვარი ხოროსანს  
ან ფერეიდანს ჩვენი ქალები.  
შაფროხიანი ვიცი ქარჩოხი,  
და ბერციხიდან ომი ჟამურის,  
მაგრამ არ ვიცი, ცხავატის დოფში  
ვინ გადმოჰკიდა ციხე შხამურის.  
ვიცი ცხავატის დიდება ძველნი,  
ინა კალატოზს ვიცნობდი ახლოს,  
ვიცი ლარგვისში ბანდაის ძენი,  
ექვსასი წელი რომ აღარ სახლობს.  
ქსანო, გამჩენო, გმადლობთ გოლილსა.  
მზესაყანურის პურს რომ მაჭმევდი,  
ულიდას მაყარს გამოყოლილსა  
ცხავატურ ჯამით ღვინოს მასმევდი.

ქსანი მეძახის, მითია და ჭალით,  
მომავალს ხელით ხელკავსა ვკიდებ,  
რომ სააკაძე ხალიბურ ხმალით  
ქარჩოხში ერთხელ მოვიდეს კიდევ!

2008.

## **ნუ გეშინიათ, ქამანდას განყვეტო!**

ფიცხი ქარჩოხი, ფრთხილი ქარჩოხი,  
დიდი დიდების ჟამად ძველმანი,  
რამ დააძველა, რამ დაამჭლევა  
ხომ არა ვქრებით?! ჰოი, ღმერთმანი.  
ქსანი ბუბუნა, ქსანი ლულუნა,  
ზოგჯერ წყნარი და ზოგჯერ ღრიალა,  
რამ ააშფოთა, მისი გაქრობა  
ჯერ ხომ მსოფლიომ არ აღიარა.  
ჯერ ხომ ქარჩოხში დიდი ლომისის  
სასწაულთ მქმნელი, მძლევი ხატია,  
და მონობიდან თავგამოხსნილი  
ლომი და ხარი ზედ ახატია.  
წითელო ხატო, შენ ფხიტი ჯვარო,  
სამებავ ოქროს კარებთანო,

ალავერდო და ქალ-მკერდის<sup>1</sup> მადლო,  
გიორგის ცხენო ნალებიანო,  
ნუ გეშინიათ, ქამანდას განყვეტთ!  
ქაშოეთო და მხნე მაცხოვარო  
ჭორჭობის ლომთავ, მუხნარიანო,  
პოვლეურთ განძო შენ, რომ ხოროსნით  
მოსულ საქონით გიხარიანო.  
სახვეისთავო თინიკაანში,  
ხატო ძლიერო, “ბრძანებაჲ ერთა”,  
ბარბარე ხოზთა, ეჭეფო ოსთა,  
სისხლო და ცრემლო ლომისის ბერთა,  
ნუ გეშინიათ, ქამანდას განყვეტთ!  
მალრანის ხევო, ალებიანო,  
შავო კალმახო, ხალებიანო,  
სოფელო ჩვენო, ქვრივებიანო,  
ბერციხეჲ — კლდეო, ქვევრებიანო,  
ნუ გეშინიათ, ქამანდას განყვეტთ!  
ძველი დიდების ნასოფლარებო,  
შხმორო, ქარჩოხო და გოლგოლეთო,  
ქარჩოხის ციხეჲ, მოყვრის მლოცველო,  
მტრის ქაიბურო, ქვაო მოლეთო,  
ნუ გეშინიათ ქამანდას განყვეტთ!  
მტერს ეშინოდეს, ხმაურობ ისევ,

---

<sup>1</sup> ქალ-მკერდი—იგივე ღვთისმშობლის სახ. ეკლესია ჟამურის ხეობაში, ალავერდის ციხის ჩრდილოეთით, ქალის მკერდის ფორმის კლდოვან მთაზე.

ქარჩოხის ომო, სააკაძურო,  
შენიღბულო და პაროლიანო,  
ანრანმინდულო, კაპარაანო,  
კვერიათო და პოროლიანო,  
ნუ გეშინიათ, ქამანდას განყვეტო!

2009.

## სამშობლო

მინა ნაქარგი,  
ხალხი რა კარგი,  
შიგ ჩახვეულა  
ქვეყნის ავ-კარგი.  
შიგ ჩახვეულა  
მთის გვირგვინები,  
ვაზი, ფუტკარი  
და გვირილები.  
შიგ ჩაჭედილა  
ოქროს ჭედილა,  
რქებზე გასვლია  
რქად “რქანითელი”,  
რქით დაუჯაბნავს  
მტერი ყოველი,  
გადამთიელი,  
სისხლის მწოველი.

შიგ ჩახვეულა  
ღმერთის ქამარი,  
კავკასიონი  
გმირთა აკვანი.  
შიგ ჩახვეულა  
ქართლის დიდება,  
ოქროს კუბოთი,  
ოქროს თამარი.  
შიგ ჩახვეოდა  
ძარღვად ვახტანგი,  
როგორც სამშობლოს  
მეფე ბაგრატი.  
ამოხვეული  
შიგ ჩახვეოდა,  
ვეფხის ტყაოსანს  
ზედ ეხვეოდა,  
ზედ ეხვეოდა

ქართველს გორდაზე,  
მტერი მოსული  
იქვე ოდაზე.  
ზედ ეხეოდა  
მტერი ვერანი,  
მაგრამ ვერ სძლევდა  
ქართველს ვერავინ.  
ზედ ეხეოდა  
ქართველს პერანგი  
და საქართველოს  
შაჰი ვერაგი.  
ზედ ეხვეოდა  
უსურვაზივით,  
სამშობლოს სახელს  
დიდი გიორგი,  
და ისე რწყავდა  
მამულს მტრის სისხლით,  
როგორც კახეთის  
მინას იორი.  
მან დაიფარა,  
გადაარჩინა,  
ქართული მინა  
ქართული სისხლი  
და იმ მიფერფლილ  
დრო უკუღმართობას,

თვით მოურავის  
ხმალიც ვერ გასხლის.  
თვალი ვერ დათვლის—  
და ვერ განვდება,  
მტერს მოჯარულსა  
საქართველოზე,  
ოი, დროებავ,  
ქართლი სულს დაფავს,  
და არვინ არის  
სასაკლაოზე,  
მაგრამ უეცრად  
შეირხა ჯარი,  
გამოიკვეთა  
კარავის კარი,  
მოვიდა მხსნელად,  
ვაზს დასდო ბარი,  
ხმალი იშიშვლა,  
მივეცით ბანი.  
და დავექანეთ,  
მტერი დავდრიკეთ,  
მტერი დავდრიკეთ  
ხმლით და ყიჟინით,  
და როგორც ვეფხი  
მეფე ერეკლე  
ბორგავდა მტერზე  
სიკვდილის ჟინით.

1985.

## სუ მეტყვი!

სუ მეტყვი, მტერმა, ჩემო ლარგვისო,  
მკერდზე მახვილი როგორ დაგვისო,  
როგორ გაგვთოფა, როგორ გაგვთოკა,  
მწვანე თვალები ცრემლით აგვივსო.

როგორ გათელა მინა საგანძე,  
და საყვავილე გედესკარლების,  
როგორ დადუმდა წმინდა თევდორეს  
ცხავატურ ვაზის საყდრის კარები.

სიკვდილი მიმძიმს, ყოფა მრცხვენია,  
რომ მიგატოვე კარგი, საჩინო,  
მოვკვდე და სული დიდ წინაპრებთან  
სირცხვილით როგორ გამოვაჩინო!

2009.

# ქსანი

ქსანი ამაყი, მთების დიდება  
ლურჯ ყელის ტბიდან მოედინება,  
მნახველი მისი გამიჯნურდება,  
თვალზე ცრემლები დაედინება.

ტრფობის ცრემლებად, მარგალიტებად,  
ქსანი ქარაფებს დაეკიდება,  
ახმაურებს საჯიხვეებს და  
კალმახებს ცეცხლი წაეკიდება.

ჩამოილენავს ბროლის მხარ-მკლავებს,  
ჩამოაცრემლებს ტინის წარაფებს,  
გადმოეშვება, დაიღრიალებს  
და შემოაღებს ქართლის დარაბებს.

1986.



## მამულისათვის

ჩემი სიკვდილი რაა ამ ქვეყნად,  
მე ვარ ამ მთების ერთი კრისტალი,  
მე ვარ აბედი მამულისათვის,  
მამული ჩემთვის არის ქვის ტალი.  
ჩემი ვალია, ჩემი სიცოცხლე  
მამულისათვის იყოს ნათელი,  
ეს გული ჩემი იყოს ზვარაკი,  
სული მლოცველი, წმინდა სანთელი.  
და თუ ვიცოცხლებ — მამულისათვის,  
და თუ მოვკვდები — დედულისათვის,  
სიკვდილის წინაც აღმართულ მახვილს  
დავაგვირგვინებ — სამშობლოსათვის.  
უკანასკნელი სისხლის ნვეთებით,  
უკანასკნელად მტერს შევადნები,  
და ნამოწყებულ “მხედრულ” სიმღერას  
გააგრძელებენ სხვა შავარდნები.

1985.

## გაშიფრეთ, ვინც კი . . .

გაშიფრეთ ცხრაზმის საერისთავოს  
ძველი დიდების პერგამენტები,  
ან ქვენიფნევეში “ტფილური წესით”<sup>1</sup>  
ნაგებ დარბაზთა ორნამენტები.  
გაშიფრეთ ცხრაზმა და წინუბანი,  
ან უკანუბნის ქვა—მეგალითი,  
ცხრა ძმის, ცხრა სოფლის მონოლითობის  
ჟმაგალითო ეს მაგალითი.  
გაშიფრეთ ძველი ტოპონიმები,  
გეზევრელნი და გავაზელები,  
შილგანდიანის ცეცხლის ტორები,  
კნეთ—კორინთელი, ცხავ—ცხრაზმელები.  
გაშიფრეთ, ვინც კი აღებას შეძლებს,  
და ტანთ ჩაიცვამს ლარგველთა ჯავშანს,  
ან პიპას<sup>2</sup> მიერ მოტანილ კლიტეს,  
გახსნის, გათელავს ტრამალის ავშანს.

2009.

---

<sup>1</sup> “... დაჯდა ძე ლარგველი ერისთავად. მან აღაშენა ტფილურითა (თბილი-სური-ვ.ქ.) წესითა დარბაზოვანი ქვენიფნევეს” (გრ. ბანდაისძე, XIV ს. ისტორიკოსი) ქვენიფნევი—ცხრაზმის საერისთავოს რეზიდენცია.

<sup>2</sup> პიპა ქვენიფნეველი XIV ს. სახელმწიფო მოღვაწეა. ის გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) მრჩეველი და კარის დიპლომატია. ქართ. ცხოვრების თანახმად, “ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო. დიდად შეწუხდა მეფე გიორგი. მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა, რომელსა ერქვა—პიპა წინაშე ეგვიპტისა. ხოლო იქ სიხარულითა შეიწყნარეს იგი, მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი და წარმოვიდა მასვე გზასა და მოვიდა წინაშე მეფისა. ფრიად განიხარა მეფემან გიორგიმ, რამეთუ მოეცნეს კლიტენი ქართველთა.”

## არსულის ხსოვნა

სამშობლო იყო ყოველთვის,  
ქართველისათვის დიდება.  
ამრიგად თქვენში ჭაბუკნო,  
წარსულის ხსოვნა მდიდრდება.  
სამშობლო იყო მარადის! —  
იძახდნენ მამა-პაპანი,  
სადაც გაზარდა დედამა,  
სადაც დაერწათ აკვანი.  
სადაც მოესმათ ზარების  
მაუნყებელი რეკვანი,  
სადაც დაუცვდათ აკვნების  
სარნები საგოგავები.  
რაზეც მოუთხეს ბუხრებთან  
პაპებმა ლექს-იგავები,  
სამშობლოს ბედ-უბედობა  
მისთვის მოჭრილი თავები.

1987.

## ღარჩება მხოლოდ კვალი ნათელი

ამოდულს ნაკურთხ მიწის შადრევნად,  
სულის ცხონებად ჟამურის წყლები,  
რა დამავინყებს ამ მხრის ბუნებას,  
რაც უნდა ბევრი გავიდეს წლები.  
ძარღვებში სისხლი დაინყებს თახთახს,  
ტანზე ბუსუსნი აყალყდებიან,  
კბილის კრაჭუნით ნასახლარები,  
და ციხეები აყეფდებიან.  
ირგვლივ ქედებზე მიმობნეული  
საფლავები და აკლდამებია,  
ჩვენი გენები სისხლ-ხორცეული,  
გმირი პაპები და მამებია.  
კლდის თავზე ციხის ვხედავ ქონგურებს,  
ორბი თამაშით გასწორებია,  
იქ, დაცემული ჩვენი გენები,  
ჩვენ კბილისანი, ჩვენ სწორებია.  
მთის მჟავე წყლებით სალი კლდეები  
და კოხის ქვები იფერებიან,  
ჩვენთვის დატოვილ ლამაზ ბუნებას,  
პაპის-პაპებიც ეფერებიან.  
ციხის ქონგურზე ორბის ბუმბული  
და ჩემი ფიქრი აყალყდებიან,  
ორბის ბარტყები დაიჩეკება  
გველის კვერცხები გალყდებიან.

გალაღდებიან მტრედის ხუნდები,  
გუთნისდედები გალაღდებიან,  
ავი სულების ნაკვალევი და  
სარკოფაგები ბალახდებიან,  
შამბნარდებიან,  
და  
ბარდდებიან,  
და  
წარსულს ჩაბარდებიან.  
და  
დარჩება მხოლოდ კვალი ნათელი.

1985.

## ქსახელო ციხე

ციხე ფრიადი, მკვიდრად ნაგები,  
ნეტავ ვინაა მისი ამგები?  
ან კი ვინაა ამის გამგები.  
კირით ხურონი, მტერი — ნაქები  
და გულოვნება მათი საქები,  
რასაც ღაღადებს სისხლის ლაქები.  
მხოლოდ საკვდავად მტრისთვის ნაგები,  
მხოლოდ შიგნიდან ნატეხ-ნაღები,

არ არსებულა მტერი ამ ციხის,  
გარდა ამ ძალით ხელში ამღები.  
არ არსებულა სამტროდ მოსული,  
შემუსვრილ მტრიდან ამბის ნამღები.  
და არსებულა და არსებულა  
გამცემისათვის თვალთა დამღები.  
ციხე ცვრიანი, პირსისხლიანი,  
კლდეზე ნაგები,  
მკვიდრად ნაგები,  
ნეტავ ვინაა  
მისი ამგები?!

ან კი ვინაა ამის გამგები.  
მტერო, ტიალო,  
ციხევ მტრიანო,  
ციხევ, მტვრიანო,  
ძველო, ხნიანო,  
პირსისხლიანო,  
შირმის ქვიანო,  
სახელი შენი  
სთქვი, რა გქვიანო!

1987.

## დიდი ბალანი

*ძველი გადმოცემის თანახმად, ქსნის ხეობაში სოფ. ახალდაბა დაუარსებია თინიკაანიდან გადმოსულ ვინმე ბალას. მოგვიანებით სოფელმა ახალი სახელწოდება — ბალანი მიიღო, სადაც სახლობდა საგვარეულო-საოჯახო გაერთიანება — “დიდი ბალანი”.*

ხარწოლიათს ხარით ხნავდნენ  
დიდი ბალანი,  
ბარბითებში მუსიკობდა  
ხალხის გალავანი,  
შავი ჩოხის ჩაცმულობით  
უჩნდათ ტალავარი,  
კაფანდრობით ირჩეოდა  
მათი ფალავანი,  
თრთოდა დედო ზარის რეკვით  
ცაცხვის ტალავარი,  
ციხე-ტაძრით მაგრდებოდა  
ბალას ბალავარი.

2008.

## ჯაჭვად ასხმულო რკინაო

ჯაჭვად ასხმულო რკინაო,  
ნეტავ რამ გაგაჩინაო,  
შენი გამკვერის თვალები  
ღმერთმა თუ გააცინაო.  
ბევრს დაუყენე მკლავები,  
ბევრზეც ზედ დაგეძინაო,  
ნეტავი შენი გამჭედი  
მე ვინმე დამაჭიდაო!

1987.

\* \* \*

აცივდა, სიცივით ცვივიან ფოთლები,  
ჩივიან თბილ მხარეს წამსვლელი მერცხლები,  
ვერ თმობენ ბუდეებს არქიტექტორები,  
როგორც კარგ სტუდენტს — კარგი ლექტორები.

1984.



## სახსოვარი

სახსოვარია ჩემთვის ყოველი,  
რაც კი ტკბილია, რაც კი კარგია,  
ლულუა ლელამ მიძღვნა რვეული,  
მე ზიზიებით მომიქარგია.  
გასაკვირველი სახსოვარია,  
დედისგან ჩემი მარჯვენა მაჯის,  
რომ მისეული სითბო და ხალი  
მე სამუდამოდ სახსოვრად მაზის.  
დაუფიქრებელი სახსოვარია,  
ენა, მამულის ხვამლი, მთა-ბარი,  
აი, რა არის, რა სახსოვარი,  
წინაპრებისგან ჩვენთვის მთავარი.

1986.

## დედა

დედა ქალია, დედა ძვირფასი,  
განუზომელი სიმდიდრის ფასი.  
დედა სიკეთის ათასფერება,  
მთებს ცისარტყელად რომ ეფერება.  
დედა ქალია, უმნიკვლო ქალი,  
ერის ცხოვრების ცეცხლი და ალი,  
დედა ქალია უშრეტი ძალი,  
ქვეყნის დიდების ფარი და ხმალი.  
დედა — მედროშე შვილის გამზრდელი,  
შვილის! — მამულო, ნატვრით რომ ელი.

1986.

## ქვიან დასათაურებული ლექსი, ანუ როცა ჯერ კიდევ ბიჭი არ მყავდა.

ქუჩაში მხვდება მოტიტინე  
ბიჭი და გოგო.  
გამახსენდება ჩემი ბავშვები:  
გოგო,  
გოგო და  
გოგო

და როგორ მივალ  
მათთან სახლში,  
როგორ და როგორ,  
თუ არ ვუყიდე თოჯინები,  
კატა ან გოგო.  
ზოგჯერ ვუყიდი ავტომატებს,  
მანქანებს, ნიჩბებს,  
თუმცა მათ მიმართ  
ყურადღებას არც ერთი იჩენს.

1986.

## ჩიტის ბუდე

თებერვლის ინვა მღვრიე ლეჩაქი  
და ზუზუნებდა ქარი მხლეჩავი,  
სადღაც ინვოდა ყვითელი ჩლაქვი  
და ირწეოდა ბუდე ბეჩავი.  
ბუდე ობოლი, მარტო-ეული,  
მიტოვებული ბედის ამარა,  
ერთდროს იმედი, დავინყებული  
და გაჯეჯგილი სულ წარამარა.  
ამ ცივ ზამთარში ნერწყვით ხვეული,  
ხეზე მიკრული უმზერს მიდამოს,  
ქვეყნის და შვილთა მუდამ ერთგული  
ვიყავ და ღმერთმაც ასე მიწამოს!

1986.

## ინტელიტირებული ფუტკარი ანუ 392 წლის შემდეგ ნათქვამი

*შაჰ-აბასს საქართველოს დამონების გზაზე წინ გადაეღობა ქართლის მეფე გიორგი X. რომელიც მსტოვრებს მეფურისხევში მოანამლინა. მეფის სიკვდილი ფუტკარს დააბრალებს.*

უხსოვარ დროდან არ აკლდა მტრობა,  
ჩვენს საქართველოს — ამერ-იმერსა,  
ვინც მტრისთვის თაფლსაც რისხვად აქცევდა,  
ქართულ მთის ფუტკრად ვყავართ იმ ერსა.

მაგრამ ერთი რამ და განა ერთი,  
ბრალდებები მაქვს თავს მოხვეული,  
399 წლის წინ  
შაჰის ხალათში გამოხვეული.

ქართლში გიორგი მოკვდეს მეთაე!—  
ბრძანება არის შაჰ-აბასისა,  
გასწი, შათირო, ქართლში, მსტოვრებთან,  
დრო აღარ არის სჯა-ბაასისა.

ეს მერამდენედ გიკლავენ შვილსა,  
ქართლო, მტრის ხელით სისხლდანთხეულო,  
რკინის მკვნეტელო, გველისპირულო,  
ჯაჭვის პერანგო ჩამოხეულო.

მეჯვრისხევს ბოლო გამოდგა, მეფევ,  
ფარეშთან მკაცრი შეკამათება,  
შაჰმა მზაკვრული თამაშით შეძლო  
ღალატით შენი დაშამათება.

თურმე ქეიფში მეჯვრისხევს მეფეს,  
მწარედ დაენვა რატომღაც კუჭი,  
მოურბენინეს თასებით თაფლი,  
მაგრამ ყოველი გამოდგა ფუჭი.

თურმე ფიჭაში ჩამძვრალ ფუტკარმა  
ნესტრით გაართვა მეფეს ყელ-კუჭი,  
შაჰმა დაასკვნა, — იმის ბრალია,  
რომ არ აჭამეს მეფეს კრიპუჭი,<sup>1</sup>  
ფუტკრის ბრალია  
მეფის სიკვდილი,  
და ცინიკურად  
თვალს უყო ხუჭი.

1998.

---

<sup>1</sup> კრიპუჭი — “თაფლი მაგარი” (საბა), — ფიჭიანი თაფლი შაქარ-  
ყინულის მსგავსად შეყინული. ფუტკარი ამზადებდა მხოლოდ დას.  
საქართველოში. უწოდებდნენ სამეფო თაფლს.

## ფუტკარი

მე ფუტკარი ვარ, მილიონი წლიდან მოვდივარ,  
მოვდივარ სიბრძნედ, უკვდავებად და ბალზამებად,  
გამოხატული მღვიმეებზე, გერბზე, დროშებზე,  
ზარაფხანებში — ვერცხლზე, როგორც ზღაპრულ  
ზმანებად.

პირველ არსება ალბათ ჩვენ ვართ დედამიწაზე,  
პირველად ალბათ ჩვენში იყო ადამ და ევა,  
ჩვენ გვეკუთვნოდა ის ვაშლის ხეც სამოთხის ბაღში  
და ახლაც ხეზე გუნდად მიტომ გვიყვარს დახვევა.  
ჩვენის იმედით, ერთგულებით, ჩვენი ხალისით,  
ღმერთმა ჩვენს შემდეგ გააშენა სამოთხის ბაღი,  
ბაღში ყვავილებს ჯვარედინი ხილვით ვათრობდით,  
თვით ჩვენში იყო ჩარლზ დარვინი, კარლ ფრიში, ბახი.  
ბაღშივე გვექონდა მონყობილი ბინა, სახლ-კარი.  
მეტსაც ველარას ვინატრებდით უფრო მობილურს,  
ვთვრებოდით ლამაზ ყვავილების ტკბილი ნექტარით,  
ვამტვრიანებდით მცენარეებს ენტიმოფილურს.  
ალბათ აკრძალულ იმ ვაშლის ხის ის ერთი ვაშლიც  
ჩვენი განცხრომის ნაყოფია, რომლის შეჭმისთვის  
ღმერთმა ბაღიდან გააძევა ადამ და ევა  
და ჩვენც დაგვსაჯა მათთან ერთად, — ნეტავი რისთვის?  
მას შემდეგ მოვსდევთ საუკუნეთ, ათასწლეულებს,  
მოვსდევთ ხოკრებით, ბუკებით და გეჯა-გოდრებით,

მოვსდევთ, ვიღვრებით, თაფლის სანთლად, ნიშთან,  
ტრაპეზთან,  
ქართულ სუფრაზე, ჯამით ხელში—ლოცვით, ვედრებით,  
საბედნიეროდ, დღეს ერთად ვართ ერთი ბედის ქვეშ,  
ღმერთო! ცისა და დედამიწის — ქვეყნის გამჩენო,  
სულ ერთად ვიყოთ, უკუნისით უკუნისამდე,  
ფუტკრის გარეშე, კაცის მოდგმა არვის აჩვენო.  
წმინდა მარიამ, საქართველო შენი ხვედრია  
და არ გენყინოს წილში ჩვენც ვართ წმინდა ფერია,  
რადგან ვიზრდებით მთის რუხ ფუტკრად ქართულ მიწაზე,  
რომ ამ მიწაზე ჩვენი ჯიში ხანიერია,  
ბუნების წიგნშიც შავით თეთრზე ასე წერია,  
ბევრს არა სჯერა, — აქ სანყენი არაფერია.

2001.

\* \* \*

სულ გუგუნებენ ფუტკრები,  
მუდამ ეძებენ სარჩოსა  
არ ჰგვანან იმ კუდაბზიკა  
ღონ კიხოტსა და სანჩოსა.

*მისამღერი:*

ტკბილი თაფლი იღვრება  
ფიჭის ყველა უჯრიდან,  
ო, რამდენჯერ უშველა  
როცა ბავშვებს უჭირდათ.

2001.

## ქვები

*460-370 წ. ჩვ. წ. აღ-მდე ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე და სხვა ბერძენი ფუტკარს ხარიდან წარმოშობილად თვლიდნენ, საბა ორბელიანი კი—ყვავილის ფურცლებიდან.*

ფუტკარო, შენი ფრთების შხუილი,  
აღმაფროთოვანებს, გულს უხარია,  
დავეჭვებულვარ, რომ წინაპარი,  
იქნებ მართლა გყავს ნიშა ხარია.  
ან იქნებ, როგორც საბა ფიქრობდა,  
ტურფა ყვავილი გზრდით  
მილეთისა,  
იქნებ მართლა გყავთ ძუძუმნოვები  
ნაზი ფურცლები ყვავილებისა.

1998.



## მარტი, აპრილი...

შემოაბოტებს გიჟურად მარტი,  
კბილებით დახვეს ზამთრის სუდარას,  
ხევს გადაკვეთავს მგელი ფეხმარდი  
და გაუგზავნის მთვარეს მუქარას.  
კლდეზე განწევა ხავსი ზმორებით,  
ზედ თოვლის წყლები გადაევლება,  
ხევის ბოლოზე, მკერდზე ჩქერებით  
და ენძელებით შემომახტება.  
ცოტაც და ალბათ კიდეც იქუხებს,  
და გაისმება გუგულის კვესა,  
ჟუჟუნა წვიმა ჩამობანს თვალებს,  
ნამძინარ ყვავილს, ბალახს და ტყესა.  
მგლების ყმუილით იწვის აპრილი,  
ნაკადულები რძისფერდებიან,  
ყინვა და თოვლის ქაფი აჭრილი  
ბალახის სუნთქვით ვერ ჩერდებიან.  
ვერ ჩერდებიან იასამნები  
აპრილის სუნთქვით იხუთებიან,  
გადაუხდიათ კვირტებს საბნები  
და სიყვარულით იბლუნძებიან.

1986.

\* \* \*

ჩაგუბებულია ღრანტე ხევებში  
ტყვიისფრად ნისლი, უამინდობა,  
სიცვიე, თოვლი, ბუნკნარი, ღორღი,  
ძუ მგლის ყმუილი და რაინდობა.  
დაბლა ჩანჩქერზე კლდეთა ფოცხვერი  
აღარ ღრიალებს დაშაშრულ კლდეზე,  
ჩაუკიდია ყინულის კიბე  
ობოლ ქალივით ეხვევა ყელზე.  
ჩანჩქის პირდაპირ, ნაძოდ პიტალში  
არსახსენები შეფარებოდა,  
ვით კაცის ღვიძლზე — მწარე ნაღველა,  
კეთილს ბოროტი ეფარებოდა.  
მალლით ავხედე კლდის თავსა მთაში,  
ძვლები ბრწყინავდა კუდიან ბებრის,  
მოქუხდა ზვავი და მზვაობრობდა  
და არ უწევდა ანგარიშს მემრისს.  
ნამიც და ზვავმა გადიგრიალა,  
აღარ დატოვა კლდეზე კენჭია,  
ამ ულმობელი ამბის მხილველი  
გადარჩა ერთი ღიჭა ბაჭია.

1986.

## იფლის ჩივილი

არ შემიბრაღე მომჭერი,  
საბრალო ნამომაქციე,  
გულს დამინყვიტე ძარღვები,  
უგრძნობ ხედ გადამაქციე.

ჩამომიღენე მხარ-მკლავი,  
ხავსები შემომაცალე,  
და-ძმებს და მშობელ მინასა  
აღერსი აღარ აცალე.

გამომკარ, თავში ჩამკიდე,  
საზიდად რკინის სოლია,  
მათრიე ფოთოლ-ბალახში  
და დამიქვრივე ცოლია.

ტანში ჩამჭიდე ნაჯახი,  
შემომახვიე რგოლია,  
იმხელა შემომახვიე,  
ლომისის ჯაჭვის ტოლია.

ცოცხალი ტყემლის ნაყოფი,  
ნახევრად ფუყე ბოკოა,  
ჩემი ნაყოფი სიკვდილშიც  
სუფთა, ქათქათა სოკოა.

1986.

\* \* \*

თოვლზე გაბრწყინდა, მელიავ,  
შენი მდიდრული ბალანი,  
გათავდა ნუთისოფელი,  
შენი დღე, შენი ხვალანი.  
ველარ გადმოხვალ ბილიკით  
და ვერც გაძღები ზღმარტლითა,  
აღარ დაგსუყავს სანყალსა  
ხის სოკო მნიფე მატლითა.  
ველარ გაძღები ასკილით  
და ვერც კალმახით ფშაშია,  
აღარ დაჭკნდება შენს ფერხთით,  
თვალეზყვითელა შაშვია.  
ხვალ ამ დროს ველარ იხილავს  
ქვეყანას შენი თვალთა,  
ნადი და გამოეთხოვე,  
ეგ არის შენი ვალია.  
მიდი, ეახლე, იხილე,  
აახლე ეგ უღვაშია,  
მთას და ბარს შემოუარე  
არვისთან დარჩე ვალშია.  
გამოეთხოვე მაღალ მთებს,  
კავკასიონს და ალპებსა,  
პატივი ეცი საფლავშიც  
გარდაცვლილ მამა-პაპებსა.

გამოეთხოვე ყველასა,  
ნაშატს, ჭალას და ჭანჭახსა,  
მაცნედ შენზედა გლოვისა  
შაშვი დაინყებს ჭახჭახსა.  
გათავდა ჯერი, საგზალი,  
შენ ნილად ნუთისოფლისა,  
დასრულდა შენი ამბავი,  
ამ ქვეყნად შენი ყოფნისა.

1987.

\* \* \*

ჩამოსუდრულან მთა და ველები,  
მოუდრეკიათ ირმებს ყელები.  
თოვლში ჩაფლულან თივთიკელები,  
გაშეშებიან ხეებს ხელები.  
სოროს შემძვრალან დათვის ბელები,  
სულ დუნდულები, სულ სულელები.  
თოვლში ჩაფლულან ნაკადულები,  
კლდე-ჭანჭახებზე დაკიდულები.  
ტყეს შერჩენოდა შავი ჩრდილები,  
და დაკიდული თოვლის ფთილები.  
არის გარს რტყმული მთები თლილები  
ჩემი ოცნება,— მათი შვილები.

1985.

\* \* \*

წამოწვიმს, ალბათ, პირველად მარტში,  
დატოვებს ძილს და სოროს დათუნა,  
ნაჩრდილულ მზვარეს, ნაჩხატებს შუა  
ამოვა მწვანე, მრგვალი ჩადუნა.

1987.

\* \* \*

ხე ნაქცეულა ტყის სამყაროში,  
დამოკლებია წყაროს სიგრძენი,  
ტყეში გავლისას, ადამიანო,  
სითბო, სიცოცხლე თუ შეიგრძენი,  
მაშინ ყოფილხარ ბუნებით ბრძენი,  
შემოგფენია მგრძნობელის ფერი,  
ატოკებულა შენში ის ძარღვი,  
რომელსაც კვებავს “ხმელი ნიფელი”.

1985.

\* \* \*

ცხრაზმა ხარობს ცხრა ძმითაო,  
კოჭალა არც ცხრა ძნითაო,  
ცხრაზმითობა ცა მზიანი,  
ცხრა ძმა, მტრისთვის ავზნიანი.

2008.

## დათუნას

სულმთლად სულელი, უსწავლეღია,  
ყველგან შეაცდენს ნუნკი მელია,  
დოყლაპიობა და უმეცრება  
ღმერთო, მიშველე, სად უსწავღია.  
სად უსწავღია საზიზღროება,  
ეს სიბინძურე და ეს ღრეობა,  
თათით გამოთხრის ჭინჭვეღის ბუდეს,  
ხიდად ჩაუგდებს ენასა მრუდეს,  
სულმთლად განყვეტავს ჭინჭვეღის ბუდეს,  
თუნდაც შიმშიღლით ეს არა სურდეს.  
ორმოში ჩაფღავს, მიწას დააყრის,  
ნაპოვნ სარჩოს და საბადებღლსა,  
რომ დამძორდება, მერე მიიღრთმევს,  
მოიგონიებს დამბადებღლსა.  
სულმთლად უფხო და უემმაკოა,  
უბოროტო და გულ-გადეღიღი,  
ტიტვეღი ივღის და არ შერცხვება,  
ერთიღ არ ჰქონდეს თუნდ ჯუბას ღიღი.  
გემოვნება კი კარგი ჰქონიღა,  
ცხიმიღ, ხომ იციღთ, კარგი ქონიღა,  
ფარაში შესულს ძვეღი ყოჩები  
თავის მამის და პაპის ჰგონიღა,  
კომბღლით მეცხვარე დათვს გამოუდგეს,  
ეს კი არასდროს გაუგონიღა.  
ცხვარი ნავიღა ზამთრად გზაზეღა,

დრუნჩა დუნდულა დარჩა მთაზედა,  
რალა შეჭამოს წორო—ძახველა  
ადრე შეჭამა,—ძალზე ახველა.  
ულრანი ტყე კი ველარ დაფარავს,  
ფოთოლი სცვივა სამხეცე კარავს,  
რკო ან ნიფელა მაინც შეჭამოს,  
ალარ დაეძებს ჭედილას და კრავს.  
სხვა გზა არ არის, პანტიანებში,  
უნდა გავიდეს მონახოს სარჩო,  
აქ, ამ ქუშებში, დეკიანებში,  
არვინ მოუტანს ხორციან ხარჩოს.  
იქნებ დალანდოს მთვარინ ღამით,  
თხილი, ასკილი, რკო ან ნიფელი,  
ან გადავიდეს სამგლეთის იქით  
და იქნებ სადმე გასტყვრეს სოფელი.  
და ამ ბაჯბაჯში,  
და ამ ბანდალაში,  
დათვი დადიოდა,  
ხეზე ადიოდა,  
დრო გადიოდა,  
ვილაცა ჩიოდა,  
.....  
ხევს თოფი ხიოდა,  
დათვს ალარ შიოდა.

1985.



## წის ჩივილი

მეცა მჭრი?! მე მაინც დამტოვე, ცოდო ვარ!  
დედა ხომ წყეულმა მტრის ცულმა გააპო  
და დედის სიკვდილით დაღვრილმა ცრემლებმა,  
ფუძე, მთავარღერძი, მთლიანად დააღპო.

რას ეტყვი შენ შვილებს და ვინც მე დამხედავს,  
მხეცობას შენსას ხომ ყოველი ხე ხედავს,  
შენ ამით იათა ფესვები მოთხარე,  
ობოლ შველს საბრალოს თვალები დასთხარე.

თვალები დასწყვიტე ზვარში მევენახეს,  
მთებისკენ მზირლებმა წყალი ვერა ნახეს,  
წყარო საკალმახე მთლიანად გააშრე,  
წყაროსთავს ია და ენძელა გაახმე.

ახლა მე მოვკვდები, დაიკლებს ჩანჩქერი,  
სუსტდება ხავსიან კლდეზე მინაჩქერი,  
სადლა გაინათვლნენ ამ ტყის ლამაზები,  
ჩემში გადიოდა ფერთა ფააზები.

1984.

\* \* \*

ცელო მოგმართავ, გაგწკეპავ,  
გაგლესავ ერბო ქვითაო,  
სათიბში გავალ, გაგინვდი,  
ნაკეთო წმინდა ხითაო,  
დაგახოცინებ ყვავილებს,  
დაზრდილებს ტკბილის ხმითაო,  
დავატირინებ ცის ნამსა,  
დავმარხავ მწყერის ფრთითაო,  
შავებს ჩავაცმევ მათ დედებს,  
დამშრალელებს ტკბილის რძითაო.  
მერე შენც მოითენთები,  
ლამაზ ყვავილთა სვრითაო,  
ბევრი ცოდვ-ბრალი გედება,  
ამ თიბათვისა დღისაო,  
იქნების სათრევი გახდე  
შამბნარში ბალღებისაო.

1989.

# როცა ჩაიცვამ წითელ მაისურს

*ვუძღვნი შ.შ.-ს*

ტყემლების თეთრი ტოტების ფონზე  
აფეთქებული შემხვდები კართან,  
თვალებით, მკერდით და თეძოებით  
მეძვირფასები სხვა ყველა ქალთან.  
როცა ჩაიცვამ წითელ მაისურს,  
გევხარ ყაყაჩოს მწვანე კაბაში,  
მე კი ჩამოვგავ ჯამბაზ ბერიკას,  
ვისაც არ მოსწონს ფუჭად თამაში.  
მიცინი, მიხმობ, თვალით მეძახი,  
მოვდივარ, ვკრთები, რომ მიამიტობ,  
შენ ჩემთან თავი თითქოს მეძავი  
გგონია, იქნებ გარბიხარ მიტომ.  
სიასამურო, მინდვრის ყაყაჩო,  
არა, შენ ჩემო ტკბილო ოცნება,  
შენი ბაგენი — ჩემი ტუჩებით  
კრძალვით, ხატივით დაიკოცნება.  
არ მინდა იყო უცნობი იქსი,  
არც მინდა იყო ქამელეონი,  
მინდა, რომ იყო მხოლოდ ფენიქსი,  
შენ ერთი, არა კვინტილიონი.  
არ მიძებნიხარ, ისე გიპოვე,  
ხელშეუხებლად გულში ჩაგისვი,

მინდა დაგკარგო, ველარ გიშორებ,  
ვერც მოგიშორებ, ვით მნუხრს დაისი.  
როცა ჩაიცვამ წითელ მაისურს,  
გამოგიჩნდება ვნებით ტუჩები,  
კვლავ დამიქნევენ ხელს, ვით შორიდან  
მნიფე ატმები და ალუჩები.

2002.

## **მ, როგორ მინდა. . .**

*ვუძღვნი მანჩო გამყრელიძეს*

თუმც დავიღალე ჩუმი ყვირილით,  
ამას სხვა უფრო ადრე გეტყოდა.  
ო, როგორ ყვირის შენი ღუმილი,  
შენ არ დაღლილხარ როგორც გეტყობა.

ო, როგორ მინდა, გვერდით დაგისვა,  
ჩაგხედო ლამაზ, ჭკვიან თვალებში  
და დაგარწმუნო, ძლიერ მინდიხარ  
ამორჩეული ლამაზ ქალებში.

ო, როგორ მინდა, ხელში მოგ ზიდო,  
დავრეკო შენი მკერდის ზარები,  
გაკოცო, გითხრა, მწვანეთვალებავე,  
შენთვის სიკვდილსაც არ დაფხარდები.

2008.

## ჩოცა მოვკვდები

მოვკვდები,— დედა დაინყებს ტირილს  
და დაუჭკნდება ყლორტები ტირიფს.  
მუხაც მიმგლოვებს ნასული შორსა,  
შენდობად მომცემს ფოთოლს და რკოსა.  
დავედარდები ტყეში წიფლებსა,  
ცრემლად დამაყრის ჩურჩებს, წიფებსა.  
გირჩებს დამაყრის ნაძვი და ფიჭვი,  
წინვივით დამჩხვლეტს დარდი და იჭვი.  
დაედაგებათ გული დიდგულებს,  
როცა ამქვეყნად ველარ მიგულებს.  
შავებს ჩაიცვამს მურყანი, წნორი,  
ვერ მოვიყარე მე თქვენი სწორი.  
გაუშავდებათ კლდეებს ხავსები,  
დაეკრუნჩხებათ ხეებს ფესვები,  
ამ ჩემ სიცოცხლის მარად მბრძანებლებს  
სულო, შენ ჩემო, ვერ შეეღევი.  
და ბოლოს, ალბათ, უჭკნობი, მწვანე,  
ფოთლით შემამკობს მაღალ მთის დეკა,  
ქვითინით მოვა მამის საფლავზე  
და დამიტირებს პატარა ეკა.

1985.

## საკლები, მაკლები, სხვაობა

ნუთუ დამიბერდით, ზღაპრის დერვიშებო,  
ხსოვნა-შთაგონების ხეთა მეუფენო,  
ბავშვობის დევებო, ხეთა არიფებო,  
ჩემო დაკორძილო ჭალის ტირიფებო.  
ნუთუ დამიბერდი გვერდებჩახლეჩილო,  
ჩემსავით ჭიტა-ციცა და გულით ჩვილო,  
კვლავაც აბიბინდი, მარწყვო და ჯეჯილო,  
განოლილ ტირიფზე მზის სხივით ქეჯნილო.  
ნუთუ დამიბერდი, ჩემო ვებერთელა,  
არსად მოგაკარე, ხალა—სამართელა,  
ბაღში შენმა ჩრდილმა ვარდი გამითელა.  
ნუთუ დამიბერდნენ ყვაავილა ეკლები,  
ნუთუ დამიბერდნენ ბავშვობის კაკლები,  
სიცოცხლის წლებითურთ ეს მე ვარ—საკლები,  
მრავალწლის ნაცვენი კაკლები,—მაკლები.  
და ეს მე არ ვიცი, არა ღირს დავობა,  
იქნებ ერთი დღეა სიკვდილმდე სხვაობა,  
ამ ერთ დღეს სულები ლეთაზე გადააქვს,  
სიცოცხლეს უკვდოვოდ ფასიც ხომ არა აქვს.

1986.

## სამდურავი

რადა ხართ სალი, უნაყოფო, გულქვა, მაგარი,  
ნუთუ გამჩენ ღმერთს დაუკარგეთ ნაამაგარი.  
რად არ იკარებთ თქვენ გულ-მკერდზე ყვავილს და  
ბალახს,  
რად გაურბიხართ ამქვეყნიურ ლიზლსა და ტალახს.

ჩამოგშვებიან სასიკვდილოდ კიდე კალთები,  
თოვლს არ იკარებთ შემოირტყით ყინვის ბალთები,  
მაგრამ მე არა, არ აღვმართავ დროშას ზავისას,  
ჩემგან დაჭრილი პიტალოზე არჩვი ბლავისა.

1986.

## ქარჩოხის მთებს

მთებო, შემკულნო ლამაზად,  
ნაქარგნო ჩუქურთმითაო,  
ყვავილთა ამყვავებელნო,  
მეტყველნო ტკბილის ხმითაო.  
შავად დამფინეთ გულ-მკერდზე,  
ქუში, ხამხამა, ჩხამაო,  
ისე მიტირეთ, რომ მტერიც  
დასწვას იმ თქვენმა ხმამაო.  
მიტირეთ გულზე დამკიდეთ,  
ყუნწულა მნიფე ნოროსი,  
ყელზე დამკიდეთ გალია,  
თქვენი მთის—მწვანე ლოლოსი.  
დამკიდეთ ცისკრის ვარსკვლავად  
თქვენი ყინულის ლოდები,  
დამასვით ციცინათელა,  
გამომისყიდეთ ცოდვები.  
მაჩქეფეთ წინწკლა კალმახი,  
ქსნისა და არა სხვა რჯული,  
ძირს დამიფინეთ ხავსები,  
ხასხასა, მწვანე სარჩული.  
მაფრქვიეთ “ვარსკვლავთ მრავალა”,  
მკერდი მინამეთ ცვრებითა,  
მასიზმრეთ მთაზე ვტკბებოდე  
სალამურით და ცხვრებითა.



გარს მეხვეოდნენ შვილებად  
ბატკნები ღუმის რხევითა,  
მათრობდეს სუნი ყვავილთა  
ამოფრქვეული ხევითა.  
არ დაგავინყდეთ, ბეჩავნო,  
სიპნი, ნაშატის ქვიშები,  
თან ჩამატანეთ, მაღლია  
ნაკადულები გიჟები.  
თან ჩამატანეთ ყვავილნი,  
სიები “ჩხიკვთა ქორნილის”,  
ბუმბული მაინც შემწირეთ,  
არ მინდა კლანჭი არწივის.  
გვირგვინად თავზე დამადგით  
მწვანე დეკისა ტოტები,  
ზედ დამაკალით ხარ-ჯიხვი,  
ამაყი არჩვის ბოტები.  
ჩემზე ნუხელის ცრემლებად  
ჩამოაგორეთ ზვავები,  
ერთს კი გთხოვთ, ფოთოლ-ბალახი  
არ გაიხუნოთ შავებით.  
მთანო, ამაყნო, ლამაზნო,  
ნაქარგნო ჩუქურთმითაო,  
ყვავილთ ამყვავებელნო,  
მეტყველნო ტკბილის ხმითაო.  
იტირეთ ჩემი ცხედარი,  
ჩამონწილის თმითაო,

იტირეთ თქვენი მღერალი,  
იტირეთ დიდი ხმითაო.  
გეკუთვნით ჩემზე ტირილი,  
როგორც არავის სხვასაო,  
მეც ხომ გიმღერდით ალაღად,  
ვიცმევდი თქვენზე შავსაო.  
ველარ მიხილავთ რომ ნავალ,  
ნავალ მე დიდი ხნითაო,  
ნავალ მე ნაზიარები  
შვებით და სულის ხსნითაო.  
მნარედ დამტირებს, ვიცი მე,  
ურცი, მოცი და ჩხამაო,  
ჩემზე დარდითა მზვარეში  
შვლის ნუკრმა მინა ჭამაო.  
ლიჭა ბაჭიამ დარდისგან,  
ყურები დაბლა ჰყარაო,  
დრუნჩა-დუნდულამ განგებას,  
ქოქოლა დააყარაო.  
არ დაგავინყდეთ, ლამაზნო,  
რაც დავიბარე ანდერძი,  
ამით იკმარეთ არ გინდათ  
სუდარისათვის სხვა თერძი.  
თან ნაცოლილი წყლულების  
ნამლად მომეცით ძახველი,  
კარგად შემიმკეთ საფლავი,  
არ დამიღონოთ მნახველი.

არ დაინანოთ მაფრქვიეთ  
სანესო ჩემი საკმელი,  
ამით სამოთხეს მექნება  
თქვენსკენ სამზერი სარკმელი.

1985.

# სარჩევი

|                                       |    |
|---------------------------------------|----|
| ავილებ ფერებს.....                    | 7  |
| ქსანი მეძახის .....                   | 8  |
| ნუ გეშინიათ, ქამანდას გასწყვეტთ!..... | 10 |
| სამშობლო .....                        | 12 |
| ნუ მეტყვი!.....                       | 14 |
| ქსანი .....                           | 15 |
| მამულისათვის .....                    | 16 |
| გაშიფრეთ, ვინც კი .....               | 17 |
| წარსულის ხსოვნა .....                 | 18 |
| დარჩება მხოლოდ კვალი ნათელი .....     | 19 |
| უსახელო ციხე .....                    | 20 |
| დიდი ბალანი .....                     | 22 |
| ჯაჭვად ასხმულო რკინაო .....           | 23 |
| აცივდა, სიცივით ცვივიან ფოთლები ..... | 23 |
| სახსოვარი .....                       | 24 |
| დედა .....                            | 25 |
| გვიან დასათაურებული ლექსი, ანუ... ..  | 25 |
| ჩიტის ბუდე .....                      | 26 |
| რეაბილიტირებული ფუტკარი... ..         | 27 |
| ფუტკარი .....                         | 29 |
| სულ გუგუნებენ ფუტკრები .....          | 30 |
| ეჭვები .....                          | 31 |
| მარტი, აპრილი... ..                   | 32 |
| ჩაგუბებულა ღრანტე ხევებში .....       | 33 |
| წიფლის ჩივილი .....                   | 35 |
| თოვლზე გაბრწინდა, მელიავ .....        | 35 |
| ჩამოსუდრულან მთა და ველები .....      | 36 |

|   |    |
|---|----|
| წამონვიმს, ალბათ, პირველად მარტში ..... | 37 |
| ხე წაქცეულა ტყის სამყაროში .....        | 37 |
| ცხრაზმა ხარობს ცხრა ძმითაო .....        | 37 |
| დათუნას .....                           | 38 |
| ხის ჩივილი .....                        | 40 |
| ცელო მოგმართავ, გაგწკეპავ .....         | 41 |
| როცა ჩაიცვამ წითელ მაისურს .....        | 42 |
| ო, როგორ მინდა .....                    | 43 |
| როცა მოვკვდები .....                    | 44 |
| საკლები, მაკლები, სხვაობა .....         | 45 |
| სამდურავი .....                         | 46 |
| ქარჩოხის მთებს .....                    | 47 |